ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

20-26 მარტი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ნიკოლას ველკერის სასამართლო მოსმენა

თეთრი სუპრემატისტული დაჯგუფების, ფურკრიგის დივიზიონის, ხელმძღვანელი, 31 წლის ნიკოლას ველკერი კალიფორნიის შტატის სასამართლომ დამნაშავედ ცნო ბრუკლინელი ჟურნალისტისთვის მუქარის შემცველი შეტყობინების გაგზავნაში.

22.03.2023

კონტრტერორისტული საგამოძიებო სამუშაოები ბირმინგემში

გაერთიანებული სამეფოს კონტრტერორისტული პოლიცია და ბირმინგემის საპატრულო სამსახური მეჩეთიდან სახლში მიმავალი პირისთვის ცეცხლის წაკიდების ფაქტზე საგამოძიებო სამუშაოებს აწარმოებენ. თვითმხილველთა განმარტებით, მამაკაცს დადლის გზაზე უცნობი ადამიანი გამოელაპარაკა, შემდეგ გაურკვეველი სითხე შეასხურა და ცეცხლი წაუკიდა.

21.03.2023

ბირმინგემის, ლესტერის და ბრედფორდის კონტრტერორისტული სამსახურის თანამშრომლებმა ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსირების და ტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობის ბრალდებით 5 მამაკაცი დააკავეს.

24.03.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაციები გერმანიაში

გერმანიის იუსტიციის მინისტრი, მარკო ბუშმანი ტვიტერზე ავრცელებს ინფორმაციას ფედერალური პოლიციის მიერ ულტრამემარჯვენე მოძრაობა „რაიხის მოქალაქეების“ წევრების მფლობელობაში არსებული 20 კერძო საკუთრების ჩხრეკის შესახებ. ბუშმანის განმარტებით, ჩხრეკის დროს გასროლით დაშავებული პოლიციის ოფიცერი კიდევ ერთხელ ადასტურებს რამდენად სახიფათოა აღნიშნული ჯგუფი.

22.03.2023

გენერალური პროკურატურა ავრცელებს ინფორმაციას ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში სირიელი მამაკაცის დაკავების შესახებ, რომელიც ბრალდებულია ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის ადგილობრივი ფრთის წევრობაში.

22.03.2023

ბელარუსის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის (KGB) ანტიტერორისტული სპეცოპერაცია

ბელარუსის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის (KGB) მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 19 მარტს, პოლონეთის საზღვართან ახლოს, განეიტრალებული იქნა უცხოელი ტერორისტი მებრძოლი. სპეცსამსახური განეიტრალებული პირის ვინაობის შესახებ ინფორმაციას არ ავრცელებს.

20.03.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია კონიაში, სტამბულში და ედირნში

თურქეთის უსაფრთხოების ძალებმა გაავრცელა ინფორმაცია ქვეყნის სამხრეთით, ქალაქ კონიასა და სტამბულში ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის შესახებ, რომლის ფარგლებშიც დაკავებულია ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის 7 წევრი. დაკავებულებს შორის არიან ტერორისტული ორგანიზაციის მაღალი რანგის წევრები ერკან ტ. და სიბელ უ..

21.03.2023

თურქეთის თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს ინფორმაციას საბერძნეთის საზღვართან, ედირნის პროვინციაში, 20 ადამიანის დაკავების შესახებ. დაკავებულ პირებს შორის არიან ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებული „ჰიზმეტის“ მოძრაობის 5 და ქურთების მუშათა პარტიის 1 წევრი.

23.03.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაციები იერუსალიმსა და დუვდევანში

ისრაელის უსაფრთხოების სააგენტომ, შაბაკმა (ასევე ცნობილი როგორც შინ ბეთი) დასავლეთ სანაპიროზე ღაზას სექტორიდან მართული ტერორისტული დაჯგუფება სახალხო წინააღმდეგობის საბჭოს წევრები დააკავა. სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით დაჯგუფების წევრები იერუსალიმის ტერიტორიაზე ტერორისტული თავდასხმის განხორციელებას გეგმავდნენ. შინ ბეთის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განმარტებით, დაკავებულებს შორის არიან დაჯგუფების დამფუძნებლები - იმან იუსუფ ხალილ ზაკოტი და ზაბრი მუჰამედ ზაბრი არამი.

21.03.2023

ისრაელის თავდაცვის ძალების დუვდევანის ადგილობრივი ერთეულის მიერ განხორციელებული სპეცოპერაციის ფარგლებში, თავდაცვის ძალებმა ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ წევრი, მუჰამად სალე ჰამდანი დააკავეს.

23.03.2023

ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ვითარება სირიაში

სირიის პრეზიდენტმა, ბაშარ ალ-ასადმა, რუსულ გამოცემა RIA Novosti-სთან საუბრის დროს, ბრალი დასდო ამერიკის შეერთებულ შტატებს სირიიდან უკრაინაში სირიელი ტერორისტი მებრძოლების რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად რელოკაციის ხელშეწყობაში.

20.03.2023

პალესტინური ძალადობრივი ექსტრემისტული დაჯგუფება ისლამური ჯიჰადის ალ-ყუდსის ბრიგადა ავრცელებს ინფორმაციას, 31 წლის საველე მეთაურის, ალი რამზი ალ-ასვადის სირიის ტერიტორიაზე გარდაცვალების შესახებ.

21.03.2023

ქურთების მუშათა პარტიასთან აფილირებულმა სირიაში ბაზირებულმა ტერორისტულმა დაჯგუფება სახალხო დაცვის დანაყოფებმა ალეპოდან 13 წლის გოგონა გაიტაცეს მათ რანგებში გაწევრიანების მიზნით. ინფორმაციას გოგონას გატაცების შესახებ სირიის ადამიანის უფლებების დამცველთა ქსელი ავრცელებს.

21.03.2023

ირანის „კამიკაძე დრონების“ მიერ სირიის ჩრდილოეთ ნაწილში კოალიციის სამხედრო ბაზაზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად დაიღუპა ერთი ამერიკელი კონტრაქტორი და დაშავდა 5 სამხედრო მოსამსახურე. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა, საპასუხო სამხედრო-საჰაერო სპეცოპერაციის ბრძანება გასცა, რომლის ფარგლებშიც წერტილოვანი დარტყმების შედეგად 11 პროირანელი მებრძოლი დაიღუპა.

24.03.2023

ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადება ერაყთან კონტრტერორისტული თანამშრომლობის შესახებ

ნატოს გენერალურმა მდივანმა, ანდერს ფოგ რასმუსენმა, ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრთან - ფუად ჰუსეინთან საუბრისას, კიდევ ერთხელ დააფიქსირა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სურვილი, გააგრძელოს ერაყის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა კონტრტერორიზმის მიმართულებით.

19.03.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ნიგერიის საზღვართან

გამოცემა AFP-ის ინფორმაციით, ნიგერის სამხედრო ძალებმა ნიგერიის საზღვართან ჩატარებული სამხედრო სპეცოპერაციის ფარგლებში ტერორისტული ორგანიზაცია ბოკო-ჰარამის 20 მებრძოლი გაანეიტრალა.

23.03.2023

თალიბანის კონტრტერორისტული სპეცოპერაცია

თალიბანის მიერ ქაბულში განხორციელებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად, სამხედროებმა დაეშის ხორასნის პროვინციის 3 წევრი დააკავეს.

21.03.2023

საგამოძიებო სამუშაოები ჯამუ და ქაშმირში

ჯამუ და ქაშმირის საპატრულო სამსახურის სპეციალურმა საგამოძიებო ერთეულმა ქაშმირის სამხრეთ ნაწილში, კაკაპორას მახლობლად, პაკისტანის თალიბანის ტერორისტი მებრძოლის რეიაზ აჰმად დარის სახლი გაჩხრიკა.

20.03.2023

ირფან მეირაის დაკავება ინდოეთში

ინდოეთის ეროვნულმა საგამოძიებო სააგენტომ ქაშმირელი ჟურნალისტი, ირფან მეირაი ტერორიზმის ბრალდებით დააკავა. ირფან მეირაი დაკავებულია მუსლიმებით განსახლებული ჰიმალაის რეგიონში განხორციელებული სპეცოპერაციის ფარგლებში.

გავრცელებული ინფორმაციით, ირფან მეირაის ბრალად ედება ჯამუ და ქაშმირის სამოქალაქო საზოგადოების კოალიციასთან თანამშრომლობა, რომლის ხელმძღვანელიც, სამოქალაქო აქტივისტი ხურამ პარვეზი, ასევე ტერორიზმის ბრალდებით არის დაკავებული.

21.03.2023